



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 30

15 03 2017 წელი

ქესალოში მდებარე ეკლესიის მიერ მოხმარებული ელენერგიის  
დავალიანების დაფარვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის სხდომის N5 ოქმის მე-8 საკითხის შესაბამისად, „ენერგო-პრო“-ს ქვითარი 50/69468477 გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის N4 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქესალოში მდებარე ეკლესიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაგროვილი დავალიანების დასაფარად „ენერგო-პრო“-ს ქვითარი 50/69468477-ს მიხედვით 4651 ლარისა და 81 თეთრის გადარიცხვა „ენერგო-პრო“ ჯორჯიას ანგარიშზე

1. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი